რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზედ, იგ. მუხრანსკის სახლებ-ში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა
მიიღება თფილისში „დროების“-„ივერიის“ რედაქცია-ში, ქუთაისში „დროების-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიას-თან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., წვრილი ასოებით მოკრულით ასოზე ნახევარი კაპ., წვრილი ასოებით ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროების“-„ივერიის“ აგენტთან.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

მომავალს 1882 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება“

გამოვა იმავე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანამშრომლების დახმარებით, როგორც აქამდინ გამოდიოდა. როგორც გაზეთის დაარსებიდამვე ცდილობდა რედაქცია, რომ მუდამ წელიწადს ცოტ-ცოტათი მაინც, შეძლებისა-და-გვარად, გაეუმჯობესებინა გაზეთი, ისე მომავალ წელსაც ეცდება და იმედი აქვს, რომ ზოგიერთი სასიკეთო ცვლილება შემოიღოს გაზეთში და გააუმჯობესოს იმის გამოცემა.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების“ რედაქციის კანტორაში, გალავნის პროსპექტზე, თ. იგ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი Въ Тифлисъ, Въ редакцію газ. „Дроэба“.

„დროებაზე“ და „ივერიაზე“ ორივეზე ერთად ხელის-მოწერა მომავალის წლიდამ არ მიიღება.

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| ერთის წლით: | 9 მან. | სამის თვით | 3 „ |
| ნახევარის წლით | 5 „ | ერთის თვით | 1 „ |

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვთხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი-და-გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.
გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

### ახალი ამბები.

უკანასკნელ სხდომებზედ (30 ნოვ.) ქალაქის რჩევამ ყველაზედ პირველად განიხილა ხმოსანის თ. ა. ჩოლოყაშვილის წინადადება ნატალია შიოევის ნაანდერძევ მემკვიდრეობის შესახებ. ეს წინადადება მდგომარეობდა იმაში, რომ, რადგან ეს ორი წელიწადია ვერ გაგვიხილავს ნატალია შიოევის მემკვიდრეობის საქმე საკმაო ხმოსნების (36) მოუსვლელობის გამო, ამისათვის ამოვირჩიოთ კამისია და იმას მივანდოთ თავის აზრი წარმოგვიდგინოს—თუ როგორ, რა პირობით უნდა მიიღოს ქალაქმა ხსენებული მემკვიდრეობა, ან მიიღოს, თუ არა.

მოკლე ბაასის შემდეგ რჩევა დათანხმდა თ. ჩოლოყაშვილის წინადადებაზედ და კამისიის წევრებად ამოარჩიეს: თ. ა. ჩოლოყაშვილი, ი. პოლტარაცკი, ზ. მეანგულოვი, ილ. წინამძღვარიშვილი და ა. ვართანოვი.

შემდეგ ქალაქის თავმა მოახსენა კრებას ბ. თფილისის გუბერნატორის წინადადება, რომ, რადგან ქალაქში გადამდები ყელის-ტკივილი გაჩნდა და თან-და-თან ძლიერდებაო, ამის გამო რჩევამ მიიღოს რამე ღონის-ძიება ამ ავად-მყოფობის წინააღმდეგ, სხვათა-შორის ფულიც გადადვას იმ სახლების გასასუფთავებლად, სადაც ყელის-ტკივილით ავადმყოფი იყოს.

რჩევამ გადაწყვიტა, ქალაქის გამგეობას (უპრავას) მიეცეს უფლება, რომ 500 მანეთი დახარჯოს ამ საგნისათვის.

* * *

გასულ ორშაბათს იყო სხდომა იმ ქველ-მოქმედ საზოგადოებისა, რომელიც შარშან შესდგა ჩვენს ქალაქში თფილისის სასულიერო სემინარიის ღარიბ შაგირდების დასახმარებლად.

ამ საზოგადოების (ძმობის) ხაზინადრისაგან წაკითხულის წლიურის ანგარიშიდამ ეტყობულობთ, რომ გასულ წელს „ძმობას“ ჰქონია სულ 1380 მან. 45 კაპ., დაუხარჯავს სემინარიის ღარიბ მოსწავლეთა შეწევნაში 320 მან. 11 კაპ., დარჩენია სულ—1060 მან. კაპ.

„ძმობის“ წევრების რიცხვი ამ წლის განმავლობაში ყოფილა 100.

* * *

სოფ. აბაშიდამ დეპეშით გვატყობინებენ, რომ ამ სამშაბათს 1 ქრისტეშობისთვეს ერთ იქაურ მცხოვრების თოფურიას სახლს ცეცხლი წაჰკიდებია და სამი სახლი და სხვა შენობები, რაც ეზოში სახლები ჰქონია, სრულიად გადამწვარა ასე, რომ მთელი ოჯახი, პატარა ბავშებიანად, თითქმის შიშველ-ტიტველი დარჩენილა.

* * *

სამცხე-საათაბაგოში მცხოვრებ ქართველებისთვის ბ. ზიგო ჩარკვიანმა შემოსწირა შემდეგი წიგნები:

ვეფხის-ტყაოსანი—10 ეგზ., ქალ-ვაჟიანი—10, ალექსიანი—10, ყარაბაღელი ყაჩაღი—5, სურამის ციხე—1, ანდაზები—1, ქართველი ქალების თარგმანი—1, ალმანახი—2 და იგავ არაკნი სიბრძნე სიცრუისაგან—2 ეგზ.

* * *

## ტელეგრამმა

(„ხალხთა შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 2 დეკემბერს. სახელმწიფო რჩევამ 30 ნოემბერს გადასწყვიტა ყოველგან დამცირება გამოსასყიდ გარდასახადისა ერთის მანეთით თითო სულზე; რაც 12 მილიონიდამ მორჩება ამას, დაიხარჯოს ამავე გადასახადის უფრო შესამცირებლად იმ გუბერნიებში, სადაც უფრო გაჭირებული გლეხები ცხოვრობენ.

არწრუნის თეატრში

კვირას, 6 დეკემბერს

ქართული დრამატიული დასის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

## მზის დაბნელება

ორიგინალური კომედია 3 მოქმედებად, ზ. ანტონოვისა.

ფასები დაკლებულია.

ბილეთები ისყიდება თეატრის კასსაში.

დასაწყისი $7\frac{1}{2}$ საათზე.

«დროების» ფელეტონი, 3 დეკემბ.

### სწავლა-განათლების საქმე

მველს საქართველოში.

(დასასრული)

ამ ხანგრძლივ-გაჭირების დროსაც კი სწავლისა და განათლებისადმი ლტოლვილება და სიყვარული არ მოსპობილა საქართველოში: სკოლები გამაგრებულ მონასტრებში და ციხე-დარბაზებში გადაიტანეს და ქართველი ახალ-გაზრდობა იქ იღებდა განათლებას სამღვდელოების ხელმძღვანელობით. მეთვრამეტე საუკუნეში, როდესაც ყველაზე უფრო შეწუხებული იყო საქართველო მტრებისაგან, ორი სემინარია გაიხსნა: ერთი თფილისში და მეორე თელავში.

გამოჩენილი მწერლები ამ დროისა (მეთუთხმეტე საუკუნიდამ მეთვრამეტის დასრულებამდინ) იყვნენ თითქმის ყველანი სასულიერო წოდებისანი,—პატრიარქები: ვასილი, ბესარიონი, დომენტი და ანტონ I; მიტროპოლიტნი: იოანნე, ტიმოთე; გამოჩენილი სულხან ორბელიანი, რომელსაც მოლოზნობაში საბას უწოდებდნენ. საერო მწერლები იყვნენ: ფარსადან გიორგიჯანიძე, სეხნია ჩხეიძე, პაპუნა (პავლე) ორბელიანი, პეტრიაშვილი, თვითონ მეფე ვახტანგი VI, შვილი მისი ვახუშტი, ბესარიონ ბაბაშვილი, ომან ხერხეულიძე და სხვანი. პატრიარქას ვასილის, ბესარიონის და დომენტის აღწერილია მე-XI, XII და XIII საუკუნოებში სხვა-და-სხვა მოღვაწეობა ქრისტიანობისათვის; ბესარიონ პატრიარქისაგან არის აღწერილი ლუარსაბ მეფის შეპყრობა შახ-აბასისაგან და იმისი წვალება; ბესარიონ თანამედროვე იყო ლუარსაბ მეფისა, ამისაგანვე არის აღწერილი ცხოვრება არჩილ მეფისა წამებულის არაბებისაგან 718 წელსა.

ბესარიონ პატრიარხმა აღწერა ცხოვრება ეპისკოპოსების იასე წილკნელისა და იოსებ ალავერდელისა, წმიდა აბოსი, რაჟდენისა, აგრეთვე ცხოვრება ბიძინა ჩოლოყაშვილისა, შალვა და ელიზბარ ერისთავებისა.

დიდი ანტონის კათოლიკოზის თხზულებები ყველამ იცის.

ფარსადან გიორგიჯანიძე იყო გორის მცხოვრები ქართველი ვაჭარი და მწერალი; ეს იყო თანამედროვე მეფის როსტომისა, მეფის ვახტანგის V-ისა შახ-ნავაზად წოდებულისა, და მეფის გიორგის XI-ისა.

სეხნია ჩხეიძე თავადი, რომელსაც ჰქონდა დიდი მამული ქართლში და იმერეთშიაც; ამან დასწერა ისტორია 1653 წლიდგან 1709 წლამდისინ თანამედროვე მეფის გიორგის XI-ისა.

პაპუნა ორბელიანმა დასწერა ისტორია 1737 წლიდგან 1757 წლამდის, თანამედროვე იყო მეფის ვახტანგ VI-ის და იმის შვილის ვახუშტისა.

სულხან ერის-კაცობაში და ბერობაში საბა ორბელიანი; ამისი თხზულებები: „სიბრძნე სიცრუის წიგნი“, ქართული ლექსიკონი და სხვა მრავალი.

ბესარიონ ბაბაშვილი მწერალი და მოლექსე, წოდებული ბესიკად.

ომან მდივანი ხერხეულიძე, რომელმაც აღწერა მეფის ირაკლის დრო.

იოსებ მიტროპოლიტი ჯერ იყო მანგლისის ეპისკოპოსად, მერმე თფილისისა; ის იყო თანამედროვე და თანამშრომელი ვახტანგ მეფისა; ერთად შეადგინეს „ქართლის ცხოვრება“ და დასწერეს კანონები, რომელსაც მეფის „ვახტანგის სჯულს“ უძახიან; გვარად ყოფილა იოსებ თავადი ჯავახიშვილი. ტიმოთე მიტროპოლიტი გვარად, მგონია ბაბაშვილი ჯერ იყო

ჩვენ მივიღეთ შემდეგი წერილი გაზეთში დასაბეჭდად:

„თქვენს პატივცემულ გაზეთში, მე-229 ნომერში, ახალ-სენაკის მაზრის ნაესაკოვის საზოგადოების სკოლის შესახებ იყო შემდეგი შენიშვნა:

„ზოგიერთი პირების თაოსნობით შარშან აქ სკოლა გამართეს; მცხოვრებლებმა დიდის სიამოვნებით მიაბარეს თავის შვილები, (ვაჟები და ქალებიც არიან); მაგრამ მასწავლებელს ემდურიან და ამის გამო ხალხმა როგორღაც სკოლაზე გული აიცრუა“.

პირველად უნდა მოგახსენოთ, რომ შარშან კი არ გახსნეს ნაესაკოვის საზოგადოებაში სკოლა, არამედ შარშან წინ 1879 წელს; მასწავლებლად გამოგზავნეს ბ-ნი ქაჭარავა, რომელიც 1880 წელს გარდაიყვანეს ქვათანის საზოგადოებაში და მის ადგილზედ დანიშნეს ბ-ნი ჭეიშვილი.

დაახლოებული პირი ვარ საზოგადოებისა და ვიცი, რომ მასწავლებლისა მომდურავი კიარა დიდი კმაყოფილი არიან. მას ჰყავს შეგირდები ამ ჟამად სკოლაში 92. ზულის აცრუება კი არა, ერთის ოჯახიდამ ორი და სამი ბავშვი მოჰყავსთ მშობლებს და ერთი მეორეს ასწრობენ შვილების შეყვანას.

„სკოლის მასწავლებელი მეცადინეობს ბეჯითად და ასრულებს თავის მოვალეობას. ხშირად თითქმის ერთ საათს მეტს დროს რჩება იგი სკოლაში და ცდილობს, რომ დედა-ენა რიგიანად შეასწავლოს ბავშვებს.

„მე დავესწარი ამ წელს ოკტომბრის თვეში რევიზიის დროს. ბ. დირექტორმა ქუთაისის გუბერნიის სკოლებისამ გამოუცხადა მას მადლობა რიგიანად საქმის წაყვანისათვის, და აგრეთვე ადგილობით მამასახლისს უბრძანა გარდაეცი ჩემ მაგიერ მადლობა საზოგადოებასო სკოლის თანაგრძნობლობისათვისო და რაც შეიძლება ვეცდები წინ წავიყვანო ამ სკოლის საქმეო.

„მასწავლებლის ოფიციალურ და პირად თხოვნაზე ბ-ნმა დირექტორმა აღუთქვა, სკოლას ოც სტოლს და წიგნებსაც გამოუგზავნიო.

ჭეშმარიტად, ჩემის აზრით. ქების ღირსია ამ გვარი მასწავლებელი, რომელიც ყოველ ღონის ძიებას ხმარობს სკოლის წინ წაყვანისათვის. ქარგს ავი რომ დავარქვათ ავს ავის მაგიერ კარგი უნდა უწოდოთ?! ეს საძაგელი დარღვევა იქნება ჭეშმარიტებისა.

გ. ხ.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**სურამი, 29 ნოემბერს.** ეს ორი-სამი დღეა, რაც სურამელები ერთ გამოუთქმელ სიხარულში არიან. რომ დაუკვირდეთ იქი-აქ ჯგუფად მდგომ ხალხს, გაიგებთ, რომ მათი სიხარული შეადგენს ერთ მართლაც და სასიხარულო საქმეს. აი რაშია საქმე: ვიღაცას გამოუგზავნია „დროებაში“ შენიშვნა, აქაური მამასახლისის ამორჩევაზე და ადგილობრივ პრისტავის ქცევაზე ამორჩევის დროს; კორრესპონდენტს გამოუთქვამს თავის წერილში ის სევდა, რომელიც აწუხებდა სურამელებს და უღირღნიდა გულს, და რომლის გულისათვის მზად იყვნენ გაეყიდათ უკანასკნელი პერანგი, ოღონდ კი ეშოვნათ ვინმე, ვისაც ის ამბავი გაეგებინებინა საზოგადოებისათვის. დღეს გაიგეს, რომ ყოველივე მათი გულის-ტკივილი უსასყიდლოდაც გაიგო ყველამ და აბა რაღა თქმა უნდა, რომ გაეხარდებოდათ. ჰაი-ჰარით ეძებენ ესენი მას, ვინც არის ამათი უხილავი ერთგული მეგობარი. უნდათ ბევრს რომ ნახონ იგი, ამოუკოცნონ თვალები და დაუკოცნონ ის თითები, რომლებმაც მოსცხეს მათ გულზე ნელ-საცხებელი, და რა ვერ პოულობენ, უძახიან ხმა-მაღლა: „ცხონდეს შენი დედ-მამის სული!“

სურამელები კი თანაუგრძნობენ წერილს, მაგრამ სხვები, რომელნიც მუდამ მზად არიან გაჰყიდონ ხუთ ფარად თავისი სული და ერთი აბაზის გულისთვის ჩაძვრებიან თვით ჯოჯოხეთშიაც, მზად არიან, რომ პასუხი დასწერონ, ვითომც და ეს საქმე ისე არ მომხდარიყოს და ბ. დ. დეკანოზოვი ციდამ ჩამოვარდნილი უმანკო კრავი იყოს. რამდენადაც იმისთანა მწერლის სიტყვა დასაჯერი იქნება, ის მკითხველებმა თვითონ უწყიან, მაგრამ სურამელები-კი უთუოდ მოელიან, ვისაც მინდობილი აქვს ამისთანა საქმეებზე თვალ-ყურის გდება, რომ ისინი კარგად გამოიძიებენ საქმეს და კუდით დაჭერილ ეშმაკს ხელიდან არ გააშვებინებენ.

ბ. მამასახლისი აკოფოვი ეფიცება სურამელებს, რომ, თუმცა აქამდისინ მწარე ვიყავ, ახლა დავტკბებიო, როგორც ყოველივე ხის ნაყოფი ჯერ, პირველად მწარი არის და შემდეგ ტკბებისო, მაგრამ ბებერი ბეღურა ჯეილ ნიბლას ვერ შეაცდენს, სურამელები ერთ-ხმით უძახიან: „ზეყო რაც შეგძინეთო!“

სურამელებს შეჰნატრიან გარეშე სოფლის გლეხები:—ნეტავი ერთი ამ ჩვენ მღვდლებზედაც დასწერდნენ რასმე, ეგები შეეშინდეთ და ასე ცეცხლი არ მოგვიკიდონო! როგორც შევიტყე და ვხედამ კიდეც, სულიერი მამები მარტო დრამის კრეფის დროს ჩნდებიან სოფლებში, სხვა დროს ღმერთმა უწყის სად არიან. დრამის აღების დროსაც სიმინდს როდის ჰკადრულობენ ეს დალოცვილები: უთუოდ ხვარბალი, ანუ ხუთი ან ექვსი მანეთი ფული უნდა იყოსო.

ჭიანა.

## წერილი რედაქტორთან.

—

მ. ხ. ბ. რედაქტორო! პატივცემულის თქვენი გაზეთის „დროების“ 232 №-ში დაბეჭდილია კორრესპონდენცია დ. ლ.-ისა შესახებ ლაილაშელის ბლაღოჩინის განკარგულებისა. რადგან ეს კორრესპონდენცია ერთობ შორს არის ჭეშმარიტებაზედ, ამისათვის, აღსადგენელად სიმართლისა, გთხოვთ ადგილი მისცეთ ერთს უმახლობელესს „დროების“ ნომერში ამ წერილს.

აი საქმე რაში მდგომარეობს:

მე, თანახმად ჩემის მოვალეობისა, ვიწყე რევიზია ჩემდამო რწმუნებულის საბლაღოჩინო ეკკლესიებისა ამა მდგომარე ივლისის თვეში და პირველად შემხვდა მისვლა იმ სოფელში, სადაც მომეტებულად გავრცელებულია უქმი დღე მუშაობა ასე, რომ ზოგნი, ცულლუტნი, უქმი დღე უმეტესად მუშაობენ, მინემ საქმი; ხშირად მოხდება ხოლმე, რომ პარასკევსა და შაბათს უსაქმურადა ზიან, ან სძინავთ თავიანთ სახლებში, ხოლო კვირაობით, — დილით ადრე, უბამენ ხარებს და მიდიან სამუშევრად. რა ყოფილა მიზეზი ამგვარი უწესოებისა—ამას ქვემორე დაინახავთ.

კვირა დილა იყო, როდესაც წავედი იმ სოფელში; ეკკლესია ხშირ სოფლებში სდგას; შევედი მღვდელი წირვათა სდგას, მომსმენლები არ აღემატებიან ათს სულს; იქ არე—მარე ისმის ურმის ჭრიალი, მკიან, ლეწავენ, ანიავებენ პურსა; ერთის სიტყვით, თავის-უფალი მუშაობაა!

ეს შემთხვევა მე საშინლად მეუცხოვა. მჭვი დავდევი მღვდლებზედ: ნუ თუ მათი თანხმობაა-მეთქი? და გადავსწყვიტე შეტყობა მიზეზისა.

ხელთ მქონდა გადმოცემული უმაღლესი მანიფესტი, გამოცემული 29 აპრილიდგან ამა წლისა, გამოსაცხადებლად ზოგად ხალხისადმი. ამის ძალით, მამასახლისსა ვსთხოვე, მაღალ-წოდების პირთ სტაროსტები მიუგზავნე და ამ საშუალებით შევ-

---

რუისის კათედრის არქიერად, მერმე თფილისში. ამან აღწერა თავის მოგზაურობა იერუსალიმში, საბერძნეთში და ათონის ივერიის მონასტერი. იოანნე მიტროპოლიტი იყო მროველი (რუისის ეკკლესიაში მიტროპოლიტს უწოდებენ მროველს.) ის ერთი უსიამოვნობისათვის მეფის ირაკლისთან წავიდა რუსეთში და იქ თავის ყოფნა აღწერა. ზვარად იყო ბედევანიშვილი.

მეფე ვახტანგ მეექვსემ შეკრიბა საქართველოს ყველა საუკუნოების მატიანეები და ისტორიის მასალები; ამანვე დასწერა კანონები. ვახუშტიმ დასწერა საქართველოს გეოგრაფია და ისტორია, თან მშვენიერი და ბეჯითი გეოგრაფიული რუქა (კარტა) საქართველოსი; პატრიარქმა ანტონ პირველმა შეისწავლა ლათინური, ბერძნული და რუსული ენები (რუსული დაისწავლა ქ. ვლადიმირში, სადაც ის იყო არხიეპისკოპოსად იმპერატრიცის ელისავეტა პეტროვნას დროს) და დასწერა ქართულად კატეხიზმო, ქართული გრამმატიკა, მოკლე ისტორია საქართველოსი, გადათარგმნა ბაუმეისტერის ფილოსოფია, ვოლფის ფიზიკა და შეადგინა ვრცელი თხზულება ყველა შესანიშნავ ქართველებზე, განსაკუთრებით იმ ქართველებზე, რომელნიც სარწმუნოებისათვის იბრძოდნენ.

საბა ორბელიანმა მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს დაიარა ევროპა; ის იყო პარიჟში, სადაც მოხუც ლიუდოვიკო მეთოთხმეტეს გამოეცხადა და შემდეგ წავიდა რომში. იმან დასტოვა ორი საყურადღებო თხზულება: ქართული ლექსიკონი და იგავნი, ეზოპოს და ლაფონტენის იგავების მსგავსად შედგენილნი, და ამას გარდა რამდენიმე წვრიმალი თხზულება.

ამ მოკლე ჩამოთვლითაც მიხვდებით, რომ ქართველებს არას დროს, თვით უკიდურეს გაჭირებაშიაც არ ესპობოდათ განათლების სურვილი.

ნასწავლ და განათლებულ კაცს საქართველოში ყოველთვის დიდად პატივს სცემდნენ და აფასებდნენ, რაც უნდა მდაბალი წოდებისა და შთამომავლობის ყოფილიყო; იმას შეეძლო თვით უმაღლესი და უწარჩინებულესი თანამდებობა და ხარისხი მიეღო საერო და სასულიერო წოდებაში. მარტო გვარიშვილობა, დიდ-კაცის შთამომავლობა საკმაო არ იყო, რომ ვისმეს მაღალი ადგილი და გამოსაჩენი თანამდებობა მიეღო,—განათლება იყო საჭირო. ამიტომაც დიდ-კაცები, მაღალი შთამომავლობის პირნიც ცდილობდნენ, რომ სწავლა-განათლება მიეცათ თავიანთ შვილებისათვის.

როდესაც რუსები შემოვიდნენ აკლებულ - აოხრებულს თფილისში, თითქმის არც ერთი სასწავლებელი არ ყოფილა საქართველოში. 1804 წელს რუსებმა გახსნეს თფილისში თავად-აზნაურთ შვილებისათვის „კეთილ-შობილთ სასწავლებელი“, რომელიც, სხვა-და-სხვა ცვლილების შემდეგ, 1830 წელს გიმნაზიად გადააკეთეს.

ეს გიმნაზია და სასულიერო სემინარია, რომელიც 1019 წელს დააფუძნა საქართველოს გამოჩენილ ეგზარხოსმა თეოფილაქტემ, დიდ ხანს იყვნენ ერთად-ერთ სასწავლებლებად არა თუ მარტო თფილისში, არამედ მთელ კავკასიის აქეთა მხარეში.

თფილისის გიმნაზიამ რამდენიმე ნიჭიერი კაცი გამოზარდა; მოვიხსენებ აქ მხოლოდ ორს შესანიშნავს:

თ. ნიკოლოზ მელიტონის-ძე ბარათაშვილი, რომელმანც 1835 წელს შეასრულა გიმნაზიის კურსი; იმან დასწერა, სხვათაშორის, მშვენიერი პოემა „ბედი ქართლისა,“ რომელშიაც გამოხატულია საქართველოს ტრაგიკული დასასრული მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, სპარსელებისაგან აკლების შემდეგ. ხელოვნებითა და აზრით ეს პოემა ერთ საუკეთესო ქმნილებად ითვლება ქართულს ლიტერატურაში. ბევრი სხვა წერილი

კრიბე სამი სოფლის მცხოვრებნი ერთს ეკკლესიაზედ.

მე წავუკითხე მათ ზემო-ხსენებული უმაღლესი მანიფესტი, აუხსენი და გავაგებინე კარგად შინაარსი მისი, რომელმანც ისეთი გავლენა მოახდინა ხალხზედ, რომ ურიცხვი ცრემლი დაიღვარა.

იმ ზომად მომეწონა მათი უმანკო ხასიათი და გულ-ქველობა იმ ზომად შემიყვარდა მე ის ხალხი, რომ თითქო ჩემი საკუთარი მცირე-წლოვანნი, გამგონე შვილები იდგნენ ჩემს წინ და მისმენდნენ მამას დარიგებასა. ეს ჩემი გულის აზრი მე სიტყვიერადაც გამოუცხადე მათ, და ვსთხოვე მოესმინათ კვლავ ჩემგან მათზედ მიმართული შემდეგი სიტყვა:

„ყოველი ეს უბედურება, რომელიც ეხლა გესმათ ჩემგან წაკითხულის მანიფესტისაგან და რომელმანც თავს ზარი დასცა მთელს რუსეთის სახელმწიფოს, არის სარწმუნოების დამცირების მიზეზისა გამო მომხდარი. სარწმუნოების დამცირებასთან დამცირდება კაცთა ზნეობაცა და გაჰქრება პატიოსნება და სინიდისი, და ის არის დამამხობელი საზოგადო ქვეყნის ბედნიერებისა და წარმატებისა.

„სამწუხაროდ ჩემდა, სარწმუნოების დამცირების ნიშნებს მე აწ ვხედავ თქვენშიაც, რომელნიც არიან შემდეგნი: წირვა-ლოცვის ხშირად დაგდება, უქმისა და მარხვის შეუნახაობა, ცრუ-ფიცი, სიხარბე, ქურდობა და სხვ."

უკანასკნელი სიტყვა დავაბოლავე ამით:

„დრო კიდევ არ დაგიკარგავსთ, გამხნევდით, საყვარელნო შვილნო, ახსენეთ ღმერთი და თქვენგანვე თითქმის დაცემული სარწმუნოება აღადგინეთ თქვენისავე კეთილ-მოქმედებით. ამასთანავე ნუ დაფარავთ ჩემთან, მითხარით, მღვდლები როგორ იქცევიან თქვენში?" და სხვ.

(ეს სიტყვა, ჩემგან თქმული ამ საგანზე, მე წარუდგინე ადგილობით მწყემსთ-მთავარს რაპორტით 13 აგვისტოდგან, № 152).

ცხადად სჩნდა, რომ ამ ჩემმა სიტყვამ სიამოვნების შთაბეჭდილება მოახდინა ხალხში. ერთ-ხმად დალოცეს ჩემი იქ მისვლა. და შემდეგ: „ჩვენც ვსწუხვართ, მამაო, ამ გარემოებას? მღვდლებს და თქვენც ამაში გემდურით, რომ ამ საგანზედ დღემდინაც არ მოახდინეთ განკარგულება. აბა ვის გაუგონია ქრისტიანი კაცის კვირა-დღე მუშაობა? მარხვას ვილან ინახავს?! მარხვაში სამარხოს სტუმართან ველარ ვაჩენთ. ადრე ათ-თუთხმეტ კაცს ნადს მოვიხმარდით სამუშაოდ მარხვაში და ნახევარი ბათმანი ლობიოთი გავისტუმრებდი, ეხლა კი ძროხა თუ არ დაუკალი, სირცხვილიაო! რადგან ეს მოწყალება გვიყავით, ამ საგანზედ თავი მოგვიყარეთ, მოგვეცით ნება მოვილაპარაკოთ და დავადგინოთ ერთი რამე წესი, ნუ განირყვნება ორი და სამი კაცის მიზეზით ამდენი ათასი სულიო და სხვ."

„—იმედი მაქვს ამოდენი პატიოსანი პირი დიდ სასარგებლო აზრს დააწყობთ, შემწე იყოს ღმერთი-მეთქი" და წაველი ეკკლესიაში საქმეების გასახილველად.

მათ მოილაპარაკეს და გადაწყვიტეს: იქმნეს დანიშნულნი კეთილშობილების მხრით—კეთილშობილნი და გლეხებისა—გლეხები, ორ-ორი კაცი სოფელში მაყურებლად: ვინც შაბათს შუა-დღიდგან ორშაბათს დილამდე, ან პარასკევს და სხვა უქმეებში იმუშაოს (ხალხს აქვ', გარდა ნამდვილი უქმეებისა, შეწირული უქმად უბრალო დღეები), ან წირვა არ მოისმინოს, ან მავნებელი რამე საქმე ქმნას, ჯარიმა ვალახდეს 20—50 კაპეიკამდეო.

ეს მათი გადაწყვეტილება მე არ მოვიწონე და არც გავხდი თანახმა; მაგრამ, რადგან შევხედე, რომ მაგრად იდგნენ მაზედ, შემდეგი რჩევა მივეცი: რადგან დარაჯების დაყენებას არ იშლით, იყვნენ, მაგრამ შემდეგის სიმართლით: უქმი დღე მუშაობისა და წირვის მოუსმენლობისათვის, ნაცვლად ჯარიმისა, მოგახსენებდესთ ეკკლესიაზედ შეკრებილს საზოგადოებას, საზოგადოებას შეეძლოს ჯარიმა გარდაახდევინოს იმას და გამოუცხადოს მძიმე საყვედური, რომელიც მეტად შეაწუხებს მას, მინემ ჯარიმის გადახდა და უკეთუ მავნებელი რამე ქმნას ვინმემ, ამაზედ არიან დანიშნულნი სამსაჯულო ადგილები—მაზრის უფროსი და მამასახლისები, მათ შეასმენდენ მეთქი. ბირჩევთ უბრალოდ შეწირულ უქმეებს და აგრეთვე პარასკევის უქმობას თავი დაანებოთ, კვირა ნაშუადღევსაც შეგიძლიათ იმუშაოთ მსუბუქი საქმეები, ოღონდაც წირვაზედ კი იარეთ მეთქი.

შემდეგ გამოვესალმე და წაველი ჩემს ბინაზედ.

ეს ამბავი საჩქაროდ გაისმა მთელს ოკრუღში და სადაც მიველი სოფელში, ყოველს ეკკლესიაზედ მხვდებოდნენ რამოდენიმე პირნი და მთხოვდნენ მომეხდინა მათშიაც ყრილობა და მომელაპარაკნა ამაზედვე.

რადგანაც საზოგადოების თანაგრძნობა დავინახე, პატივი ვეცი მათს თხოვნას და მით შევასრულე, როგორც მე ვფიქრობ, ჩემი მოვალეობაც: კვირა და უქმ დღეებში შეკრებილ საზოგადოებასთან მქონდა ზემოხსენებულს საგნებზედ ლაპარაკი და სადაგ დღეებში ეკკლესიებზედ დავდიოდი განსახილველად.

ამ რიგად დავიარე საბლალოჩინო მაზრის ყველა ეკკლესიები; ყოველგან ხალხში ერთი და იგივე აზრი და ხასიათი შევნიშნე; ჩემის მხრითაც ყოველგან ერთი და იმავე აზრის სიტყვები წარმოითქვა, თვითოეული სიტყვის მნიშვნელობას დაკვირვებით და სიფრთხილით. არსად წინააღმდეგი კანონისა და არცა ვერძთ ბრის[?] არა თქმულა. ყველგან საზოგადოება დიდად კმაყოფილი დარჩა და საქმე ამით გათავდა.

ლაილაშის ბლაღოჩინი ი. გერსამია.

(დასასრული ხვალ)

# უცხოეთი

(გაზეთებიდან)

**საფრანგეთი.** პრეზიდენტმა გრევიმ მოაწერა ხელი სახალხო განათლების მინისტრის დეკრეტს (ბრძანებას), რომლის ძალითაც საფრანგეთის გიმნაზიებში სამღვთო სჯულის სწავლა ვალდებულებითი აღარ იქნებაო. ამის შემდეგ, როდესაც მშობლები შეიყვანენ შვილებს სასწავლებელში, იქვე უნდა განაცხადონ: ჰსურთ თუ არა, რომ მათ შვილებს ასწავლონ სამღვთო სჯული.

—

**ამერიკის შეერთებული შტატები.** პრეზიდენტს გარფილდის მკვლელის, გიტოს, საქმე ჯერ კიდევ არ გათავებულა. სხვათა შორის გიტომ უპასუხა მსაჯულებს, რომ ის მშიშარაა და მუდამ ერიდებოდა ხიფათს, მაგრამ ზნეობით, როდესაც ის დარწმუნებულია რომ ღვთაება ესარჩლება მას, ლომისებრ გმირდება. როდესაც გიტომ აღიარა, რომ მას სწამს ათი მცნება, მსაჯულმა მოაგონა, რომ ამ ათ მცნებაში არისო „არა ჰკლაო". ამაზედ ლაპარაკი არ ისურვა გიტომ და ითხოვდა გაერკვიათ ის, ეს საქმე მან მოიქმედა ზეციურის შთაგონებით თუ არა. „რა არის რომ სულ ამ სიტყვებს იმეორებთ: „მოკვლა" „მკვლელობა". რად შეგიყვარდათ ასე ეგ სიტყვებიო, ამბობდა გიტო. გიტოსათვის უნდოდათ გამოეკითხათ, ნამდვილად რა დღეს მიიღო მან ეს „შთაგონება ზეცითაო". „თავი დაანებეთ მაგ უბრალო ლაპარაკსაო", კიდევ გაჯავრებით მიუგო გიტომ მსა-

---

ლექსები დაგვიტოვა თ. ნ. ბარათაშვილმა, რომელიც, საუბედუროდ, ერთობ ახალ-გაზდა მოკვდა 1845 წელს.

თ. ილია გრიგორის-ძე ჭავჭავაძე, რომელიც გამოიზარდა აგრეთვე ამავე გიმნაზიაში, ნიჭიერი მწერალია. იმან დასწერა ჩინებული მოთხრობა „კაცია, ადამიანი!", რომელშიაც გამოყვანილია ჩვენი ბატონ-ყმობის დროინდელის თავად-აზნაურობის ცხოვრება, და ზოგიერთი სხვა თხზულებაც.

კეთილ-შობილთ სასწავლებლის" ნაშაგირდლევებში შესანიშნავი არიან: ყველასაგან ცნობილი პოეტი თ. გრიგორ დიმიტრის-ძე ორბელიანი და პირველი ქართველი დრამატურგი თ. გიორგი დავითის-ძე ერისთავი, რომელიც 1861 წ. მოკვდა; შემდეგ იასე ფერსევანოვი, რომელმანც გადათარგმნა ქართულად იმპერატორის პეტრე დიდის ისტორია, სხვა-და-სხვა სახელმძღვანელონი, ისტორია ლიუდოვიკო მე-XIV და XV და რომელმანც დაგვიტოვა ძალიან მდიდარი ბიბლიოთეკა *). ეს ფერსევანოვი ერთი პირველ შაგირდთაგანი იყო კეთილ-შობილთ სასწავლებლისა; ის მოკვდა 1861 წელს სასულიერო წოდებაში **).

დასასრულ მოვიქცევი თქვენდამი, თფილისის გიმნაზიის სამასწავლო უწყების წარმომადგენელნო და ვალად ვრაცხ, ჩემ თანამეშამულეთა მაგიერ, მადლობა გიძღვნათ თქვენც და თქვენ წინა მოადგილეთაც, რომელთაც პატიოსნათ უშრომიათ ამ გიმნაზიის პედაგოგიურ ასპარეზზედ.

თქვენი შრომა ძნელი და მძიმეა; თქვენ ასწავლით ისეთ ყმაწვილებს, რომელთაც ხშირად თქვენი სიტყვაც არ ესმისთ რიგიანად, რომელთაც არ იციან რუსული, და ბერძნულ-ლათინურ ენებს კი ასწავლიან; თუმცა ამ პროგრამმის შესრულება ძნელია, მაგრამ შედეგი თქვენის სწავლებისა ძვირფასია. სასიამოვნო სანახავია, რომ ამ გიმნაზიის მოწაფეებს უჭირავთ ახლა სხვა-და-სხვა ადგილი და თანამდებობა და რიგიანად ასრულებენ თავის მოვალეობას, როგორც ექიმნი, პედაგოგები, ტეხნიკოსები, ინჟინერები, ჯარის-კაცები და სხვ.

თქვენი მოვალეობა და შრომა ყოველთვის პატივ-საცემი ყოფილა და იქნება კიდეც. თითქმის თქვენზედ არის დამოკიდებული გონებითი და ნივთიერი წარმატება ჩვენის ქვეყნისა. თქვენ საუკეთესო და სასარგებლო შვილებს უმზადებთ სამშობლოსა!..

კონსტანტინე მამაცოვი.

*) იასე ფარსევანოვს მე თვითონ კარგად ვიცნობდი, ის სცხოვრობდა გორში. ქართული ლიტერატურა ამან ჩინებულად იცოდა.

ეს იყო მასწავლებელი დავით დადიანისა და იმის ძმებისა; დადიანის ბიბლიოთეკაც ამან მოაწყო და მართავდა; მერმე მოვიდა გორს და თავის სახლში ცხოვრებდა დიდ ხანს და სწერდა; ხელ ნაწერი ბევრი დარჩა. იასეს მემკვიდრე არის იმის ძმის შვილი-შვილი ალექსანდრე ფარსევანოვი, რომელსაც დარჩა მიცვალებულის ბიბლიოთეკა და იმის ნაწერი წიგნებიც.

**) რა ნაირი სკოლები ყოფილა საქართველოში, როგორც ავსწერე აქ, არის აღწერილი მოკლედ პეტრიაშვილისაგან, რომელიც მე მომცა წასაკითხავად განსვენებულმა იასე ფარსევანოვმა. ამ სკოლების აღწერა კი წავიკითხე და კი არ ეწერა ვინა სწერს, მხოლოდ ფარსევანოვმა მითხრა, რომ ეს პეტრიაშვილისაგან არის დაწერილიო, და ამას გარდა ერთი კიდევ იაკობ მოძღვარი სწერს სრულებით ისრე, როგორც პეტრიაშვილი, რომ ორ გვარი სკოლები: სამრევლო და მონასტირებში გვქონია.

ჯულთ, — გაიგეთ, რომ მე მზად ვიყავი ჩემის აზრის შესასრულებლად ივნისის ნახევრიდამ 2 ივლისამდე, თუ რომ შემძლებოდა ამ აზრის სისრულეში მოყვანა ამერიკის ერის კეთილდღეობისათვის.“

# განცხადებანი

## თფილისის სახელოსნო უპრავისაგან

თფილისის სახელოსნო უპრავა (გამგეობა), სახელოსნო წესდების 1863 წ. გაგრძ. 140 მუხლის ძალით პრობის პალატისა, ამით უცხადებს ყველა ხელოსნებს: ოქრომჭედლებს იუველირებს, აბრეშუმის მწარმოებლებს, მესაათეებს და ყველა იმ ვაჭრებს, რომელნიც ქ. თფილისში ოქრო-ვერცხლით ვაჭრობენ, მოუჩქარონ მოწმობისა და ბილეთების ალება ამ ოქრო-ვერცხლის ნივთების წარმოების უფლებისა ამ 1882 წლის 1 იანვრისათვის.

იმ ხელოსნებსა და ვაჭრებს, რომელნიც სახელოსნო უპრავიდამ არ აიღებენ ზემოხსენებულ მოწმობასა და ბილეთებს, ერთი-ორად გადახდებათ. (3—1)

## ისყიდება

15,000 თეფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.

12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.

10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.

10,000 ფოლდნოსი და გასალები თითო 15 კაპ.

10,000 ნევსი, 8 კ. 40-მდინ ასი.

10,000 ჰერალი თავის პრიბორით თითო 5 კაპ.

5,000 ბოთლი პორტვეინისა და ხერესის თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაპ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლეპიოშკა 50 კაპ. გირვ.

600 ინგლისის რევოლვერი 4 მან. 34-მდი.

300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად. **ინგლისის მაღაზიაში.** (40—6)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მიღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** ზარ-ესინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ—დამ; პადნოსები 5 კ.—დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—41)

თიანეთის დამზოგველი საზოგადოება

რომელმაც დაიწყო თავისი მოქმედობა ამ 1881 წელს 31-ს ოქტომბერს, ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ის თავისს წესდების ძალით, ასრულობს და ასრულებს მოთხოვნილებას ყველასაგან შემდეგ საგნებზე, ესე იგი იყიდის მონდობილობით:

1) ორმოცს ათას ფუთს თუშურს მატყლსა;

2) ოცი ათასს ფუთს თუშურს ყველსა;

3) ექვსი ათას ფუთს მთის ერბოსა;

4) ასი ათასს ქათამს და სხვა ფრინველს და

5) ოცი ათას საკლავ—ცხვარს.

ყველა აქ მოხსენებული ნაწარმოები თიანეთის მაზრის **დამზოგველ საზოგადოებას** აქვს თითქმის ხელში ყოველ დროისთვის, რადგან იგი საზოგადოება არის შემდგარი თვით ხსენებულ საგანთ მაწარმოებელთაგან.

ვისაც ზემოხსენებულ ნაწარმოებათა პირ-და-პირ, ყიდვა სურდეს მიმართოს საზოგადოებას და მიიღებს საქონელს იმა საზოგადოების შუამავლობით, თუ რა პირობით ეგვრება დამზოგველი საზოგადოება ნაწარმოებების მოითხოვს, შეიძლება ამაზე გაგება მოწერილობით შემდეგის ადრესით:

თიანეთს, დეპოში თიანეთის დამზოგველ საზოგადოებისა.

**Въ Тіонеты. Въ Тіонетское Общество бережливости.** (3—3)

**ჩაის მცოდნე პირმა და მსურველმა უნდა იყიდოს ჩაი, პირველი მოკრეფილისა ინგლისის მაღაზიაში 1 მან. 20 კაპ. და 2 მან. და შეადაროს ჩაის 1 60 კაპ. და 3 მან. ყველგან, ქ. თბილისში და გაიგებთ რამდენათ უკეთესი ჩაია ინგლისის მაღაზიაში. ამის გარდა მაღაზია აძლევს ჩაის წმინდა წონით უქაღალდოთ და უტყვიოთ.** (100—90)

**ლონდონის მაღაზია** კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაი-გასასყიდლად პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, გლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შჩოტკებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლეშჩივინი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭვანას გიარები. (100—41)

ი. მურადოვის

**წიგნის მაღაზიაში**

## ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი— 5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა. (50—24)

## ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ალაგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოლდნოსები, პირის-საბანი, გლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, **პირისახოცი**, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის **საპონი**, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *George Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში. (100—41)

**ინგლისის მაღაზიაში**

არწრუნის გალლერეაში

(*Maison de confiance*)

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | ჩაის ყველგან |
|---|---|
| — — 1 მ. 10 კაპ. | — 1 მ. 40 კაპ. |
| — — 1 „ 20 „ | — 1 „ 60 კაპ. |
| — — 1 „ 40 „ | — 1 „ 90 კაპ. |
| — — 1 „ 60 „ | — 2 „ 20 კაპ. |
| — — 1 „ 80 „ | — 2 „ 50 კაპ. |
| ხაყვავოხო 2 მანეთ. | — 3 მანეთ. |

ჩაის წონა—უქაღალდოა, სხვაგან კი ქაღალდით. (100—65)

## აუქციონი

12 და 19 ქრისტეშობისთვეს 1881 წელს კავკასიის აქეთა მხრის პრიკაზში იქნება გასყიდვა (აუქციონი) ოქრო-ვერცხლის და მეირფას თვალეულის ნივთებისა. (3—3)

თექვსმეტ ოქტომბრიდამ ჩემს ხელში

**გადმოვიდა ცენტრალური**

## სასტუმრო,

რომელიც არის მიხაილოვის ხიდის ყურში, ვარანცოვის მეგლის პირ-და პირ, ლიხათანსკისა და ნარიმანოვის სახლებში. სასტუმრო არის ჩინებლად მორთული, აქვს საკმაო რიცხვი ნომრებისა ფასად მანეთიდამ 5 მანეთამდე. ბუფეტისა და მოსამსახურისა ყველანი კმაყოფილნი იქმნებიან. სრული იმედი მაქვს, რომ თბილისის პატივცემული საზოგადოება საჭიროებისამებრ მომართავს ჩემ სასტუმროს, რომელიც მის და სასიამოვნოდ ყველაფერით **შემიმკია და უსათუოდ მისს ყურადღებას დაიმსახურებს**

სადილი და ვახშამი მსურველთ შეუძლიან მიირთვან გარიგებისამებრ ყოველ-დღეობით ან თვეობით ძრიელ ხელ-მისაცემ ფასად.

სასტუმროს გამგე

(15—15) **ლევან ოლახერაშილი.**

მცოდნე **ბუღალტერიისა** ეძებს ადგილს მარტო საღამოობით, 4 საათიდამ. ადრესი: ამალლების ქუჩა, ჯანყულოვის სახლი, როტინოვის სადგომში, № 6. (3—3)

**ტაქსია**

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 დეკემბრიდამ 1 იანვრამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | — 1 გირ. | 5 კ. |
| მეორის | „ | — 1 გირ. | 3½ |
| მესამის | „ | — 1 გირ. | 3 კ. |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | — 1 გირ. | 5 კ. |
| მეორის | „ | — 1 გირ. | 4 კ. |

ჭვარის-მამის პური:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 6½ |
| მეორის | „ „ | — 1 გირ. | 5 კ. |
| მესამის | „ „ | — 1 გირ. | 4½ |

ძროხის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | — 1 გირ. | 10 კ. |
| მეორის | „ | — 1 გირ. | 8 კ. |
| სუკი | — — | — 1 გირ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | | — 1 გირ. | 10 კ. |

ღორის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | — 1 გირ. | 12 კ. |
| მეორის | „ | — 1 გირ. | 11 კ. |

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Декабря 1881 г. Типографія С. Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები: ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.